საქართველო
ი/მ „გოჩა გეთიაშვილი“

GEORGIA
I/E,, GOCHA GETIASHVILI “

№ 1/12

28 დეკემბერი 2020 წ.

კონსტრუქციული დასკვნა
ქ. თბილისში, ჭონქაძის ქ.№21-ში დარღვევით ნაწარმოები სამუშაოებისა და კორექტირების თაობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისში, ჭონქაძის ქ.№21-ში (საკადასტრო კოდი № 01.15.05.061.017) დარღვევით ნაწარმოები სამუშაოებისა და კორექტირების შედეგად საპროექტო შენობების მშენებლობის პროცესი ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებული მომიჯნავე შენობების კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი:

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა საპროექტო შენობების „A” და „B” ბლოკების პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილების გრაფიკული მასალა. ჩვენს მიერ მოხდა მომიჯნავე არსებული შენობების ვიზუალური დათვალიერება, რის საფუძველზეც მომზადდა კონსტრუქციული დასკვნა ჭონქაძის ქ, №21-ში საპროექტო შენობების მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ.

საპროექტო შენობების „A” და „B” ბლოკების კონსტრუეციული ნაწილის შესწავლის საფუძველზე დავადგინეთ, რომ შენობებს შორის „11” და „12” ღერძებს შორის დაპროექტებულია სეისმიური ნაკერი. „A” ბლოკი დაპროექტებულია სამსართულიანი, ხოლო „B” ბლოკი კი რვასართულიანი. შენობის საძირკვლები დაპროექტებული მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის სახით, სისქით 0.8 მ, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნურ ფუძეზე,

მდინარის ბალასტის შრეებრივად დატკეპნილ ფენაზე, „A" ბლოკისათვის სისქით 2,0 მ, ხოლო „B" ბლოკისათვის სისქით 4,0 მ. გრუნტის პირობით საანგარიშო წინაღობად მიღებულია R_0=3,0 კგძ/სმ^2.

ეზოს დონიდან ქვაბულის ძირის ჩაღრმავება „A" ბლოკისათვის 4,0 მ-ია, ხოლო „B" ბლოკისათვის 7,0 მ. ქვაბულის ფერდები უნდა მოეწყოს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. ქვაბულის მიღება ინჟინერ გეოლოგის მიერ სავალდებულოა. საძირკვლის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია 10სმ სისქის ბეტონის მომზადება B7,5 კლასის ბეტონით, ხოლო საძირკვლის ფილისათვის B25 კლასის ბეტონით.

კორექტირების საფუძველზე „A" და „B" ბლოკების გასწვრივ საპროექტო შენობების (საცურაო აუზი და დამხმარე სათავსოებისათვის განკუთვნილი ორსართულიანი შენობა) მშენებლობა უნდა განხორციელდეს მომიჯნავე შენობების მდგრადობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ამისათვის ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა და საპროექტო შენობებიდან არსებულ მომიჯნავე შენობებამდე დაშორება. კორექტირებულ საპროექტო შენობებს ჩრდილო დასავლეთიდან (**საკადასტრო კოდი № 01.15.05.061.026**) ემიჯნება ცხრასართულიანი არსებული შენობა (სასტუმრო „ასტორია"). აუზის პერიმეტრზე წითელ ხაზის კონტურის გასწვრივ მოწყობილია რკინა-ბეტონის შპუნტური კედელი, რკინა-ბეტონის 30სმ-იანი ხიმინჯებით, რომელიც უზრუველყოფს ფერდის მდგრადობას. საცურაო აუზის რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასის მზიდი ელემენტები – დგარები და კედლები მიბჯენილია შპუნტური კედელზე და ჰქმნის ერთიან მზიდ კონსტრუქციას ერთობლივი მუშაობის პირობით.

რაც შეეხება ორსართულიან რკინა-ბეტონის კარკასს, აღმოსავლეთიდან ემიჯნება „A" ბლოკი, რომელთანაც მოწყობილია სეისმიური ნაკერი, ხოლო

დასავლეთიდან ჭონქაძის ქუჩა, რომლის გასწვრივ არსებობს აგურის 75 სმ-იანი კედელი, რომელიც დემონტაჟამდე წარმოადგენდა არსებული სამსართულიანი შენობის მზიდ კედელს. აღნიშნული აგურის კედლის გაძლიერების მიზნით მოწყობილია მონოლითური რკინა-ბეტონის დამატებითი კოლონები, რომლებიც საპროექტო ორსართულიან კარკასულ შენობასთან ერთად ქმნიან ერთიან კარკასულ მზიდ კონსტრუქციას. ამით გათვალისწინებულია არსებული აგურის კედლის მზიდუნარიანობის გაძლიერება.

მშენებლობის პროცესში დაცული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნები.

ი/მ „გოჩა გეთიაშვილი"-ს დირექტორი: / გ. გეთიაშვილი /